რუსეთში ეგვიპტელ მონაზონთა დელეგაციის მომლოცველობითი ვიზიტი შედგა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 24.07.2026. 13-21 ივლისს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს მიწვევით და კოპტური ეკლესიის უწმინდესი პატრიარქის, ტავადროს II-ის ლოცვა-კურთხევით, ეგვიპტელი მონაზვნების დელეგაცია რუსეთში მომლოცველობითი ვიზიტით იმყოფებოდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა იერუსალიმისა და ახლო აღმოსავლეთის მიტროპოლიტი ანტონი, კოპტური ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივი წევრი და წმინდა მიწაზე კოპტური ეკლესიის პატრიარქის ადგილმონაცვლე.

პოკროვის სტავროპიგიალურ დედათა მონასტერში, მოსკოვში დელეგაციის საცხოვრებელ ადგილზე, იერუსალიმისა და ახლო აღმოსავლეთის მიტროპოლიტი ანტონი და მისი თანმხლები პირები მონასტრის დედებმა გულთბილად მიიღეს.

14-15 ივლისს კოპტური ეკლესიის დელეგაციამ **ნიჟეგოროდის სამიტროპოლიტო მოილოცა,** მათ შორის, ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარი და ნიჟნი ნოვგოროდის პეჩერის ამაღლების მამათა მონასტერი, ასევე წმინდა სამების სერაფიმე-დივეევოს დედათა მონასტერი, სადაც დელეგაციის წევრები ნიჟეგოროდისა და არზამასის მიტროპოლიტ გიორგის შეხვდნენ.

16 ივლისს ეგვიპტელ მონაზონთა დელეგაცია სერგის წმინდა სამების ლავრასა და მოსკოვის სასულიერო აკადემიას ეწვია, სადაც ის გულთბილად მიიღო ლავრის წინამძღვარმა, მოსკოვის სასულიერო სკოლების რექტორმა, სერგიევ-პოსადისა და დიმიტროვის ეპისკოპოსმა კირილემ. სტუმრებმა ილოცეს წმინდა სერგი რადონეჟელის ლუსკუმასთან, სადაც დავანებულია წმინდანის ნეშტი, რომელიც ფართოდ არის პატივცემული არაერთ უძველეს აღმოსავლურ ეკლესიაში. იმავე დღეს კოპტური ეკლესიის დელეგაცია ესტუმრა ხოტკოვოს პოკროვის მონასტერს და თაყვანი სცა რუსული მიწის წინამძღვრის ღირსი მშობლების, კირილესა და მარიამის პატიოსან ნაწილებს. სტუმრებს თბილად შეხვდნენ ხოტკოვოს სავანის წინამძღვარი, იღუმენია ოლიმპიადა (ბარანოვა) და სავანის დები.

17 ივლისს ეგვიპტელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მოსკოვის კრემლის მუზეუმი და წითელი მოედანი, ასევე მოილოცეს მიძინების, ხარების, მთავარანგელოზის და ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრები.

დელეგაციის წევრები ასევე ეწვივნენ მოწყალების მართასა და მარიამის მონასტერს, სადაც ისინი გულთბილად მიიღეს მონასტრის დედებმა და იღუმენია ელისაბედმა (პოზდნიაკოვა). კოპტელ მონაზვნებს დაათვალიერებინეს სავანის ტერიტორია. ერთობლივ ტრაპეზზე შედგა ხანგრძლივი საუბარი იღუმენიასა და სტუმრებს შორის.

18 ივლისს დელეგაციამ მოილოცა ახალი იერუსალიმის აღდგომის სტავროპიგიალური მამათა მონასტერი. წინამძღვრის, არქიმანდრიტ ფეოფილაქტეს (ბეზუკლადნიკოვი) სახელით, წმინდა მიწიდან ჩამოსული სტუმრები თბილად მიიღო ახალი იერუსალიმის მონასტრის მნათემ, მღვდელმონაზონმა აგათანგელმა (კობილენკო). შემდეგ იერუსალიმისა და ახლო აღმოსავლეთის მიტროპოლიტი ანტონი და დელეგაციის წევრები ეწვივნენ კუბინკაზე ქრისტეს აღდგომის საპატრიარქო ტაძარს – რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მთავარ ეკლესიას. ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს სამუზეუმო კომპლექსი „ხსოვნის გზა“, მათ შორის დიდი სამამულო ომის დაწყების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპონატები და პარკი „პატრიოტი“. ეგვიპტელმა მონაზვნებმა თაყვანი სცეს ტაძრის მთავარ ხატს – მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის საჩუქარია. დელეგაციის წევრებმა იგალობეს „მარადიული ხსოვნა“ მათთვის, „ვინც დიდ სამამულო ომში რწმენას, სამართლიანობასა და სამშობლოს შეეწირა“.

19 ივლისს იერუსალიმისა და ახლო აღმოსავლეთის მიტროპოლიტმა ანტონიმ ლიტურგია აღავლინა წმინდა მარკოზ მოციქულისა და მახარებლის კოპტურ კარის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს იაკიმანკაზე მდებარე წმინდა მოწამე იოანე მხედრის ტაძრის სამრევლო სახლის ტერიტორიაზე. ეგვიპტის ეკლესიის ადგილობრივი თემის მორწმუნეების გარდა, ლიტურგიაზე ილოცეს სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რუსეთისა და ახალი ნახიჩევანის ეპარქიის წარმომადგენლებმა და ეთიოპიის ეკლესიის მორწმუნეთა მოსკოვის წმინდა სამების ახალგაზრდული გაერთიანების („მაჰებერე სელასიე“) წევრებმა.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ სამრევლო სახლში სადღესასწაულო მიღება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი, წმინდა მოწამე იოანე მხედრის წინამძღვარი, პავლოვო-პოსადის ეპისკოპოსი სილუანე.

შემდეგ, კოპტური ეკლესიის წარმომადგენლებმა ბუტოვოში რუსეთის ეკლესიის ქრისტეს აღდგომისა და ახალი მოწამეებისა და აღმსარებლების სატაძრო კომპლექსი მოინახულეს, რომელიც 1937-1938 წლებში მორწმუნეთა – სასულიერო პირების, მონაზვნებისა და ერისკაცების – მასობრივი სიკვდილით დასჯის ადგილას არის აღმართული. წინამძღვარი, დეკანოზი კირილე კალედა, თბილად მიესალმა სტუმრებს და მათ კომპლექსის ტაძრები და „ხსოვნის ბაღის“ მემორიალი დაათვალიერებინა. მიტროპოლიტმა ანტონიმ და დელეგაციის წევრებმა ლიტია აღავლინეს ყველა იმ ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც „რთულ წლებში უღვთო მმართველებმა უდანაშაულოდ მოკლეს“ და ქება შესწირეს ღვთის სათნომყოფელებს, რომლებიც ამ ადგილას ქრისტესთვის მოწამეობრივად აღესრულნენ.

20 ივლისს დონის სტავროპიგიალურ მამათა მონასტერში გაიმართა დელეგაციის შეხვედრა მონასტრის წინამძღვართან, მონასტრებისა და მონაზვნობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარესთან, კაშირის მიტროპოლიტ თეოგნოსტესთან და მონასტრის საძმოსთან. მუცლადღების მონასტერში, იღუმენია იულიანას (კალედა) თანხლებით, კოპტური ეკლესიის წარმომადგენლებმა მოილოცეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი, სულიწმიდის გარდამოსვლის ტაძარი და მართალი ანნას მიერ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მუცლადღების ტაძარი. მათ თაყვანი სცეს მონასტრის სიწმინდეებს: უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილაკს, ღვთისმშობლის ხატს „მოწყალე“ და მონასტრის დამაარსებლების, ღირსი იულიანასა და ევპრაქსიას ლუსკუმას, რომელთა წმინდა ნაწილები განთავსებულია საწყაოს ქვეშ. ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის კრიპტაში სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს მემორიალური ექსპოზიცია, რომელიც მიძღვნილია იღუმენიას მამის, დეკანოზ გლებ კალედას (1921–1994) ცხოვრებისა და მსახურებისადმი.

რუსეთის დედაქალაქში ყოფნისას, ეგვიპტელი მონოზვნები ასევე ეწვივნენ უფლის ფერისცვალების სომხეთის სატაძრო კომპლექსს, სადაც მათ თბილად შეხვდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რუსეთისა და ახალი ნახიჭევანის ეპარქიის მეთაური, მთავარეპისკოპოსი ეზრას ნერსისიანი.

21 ივლისს დელეგაციამ რუსეთი დატოვა.

კოპტური ეკლესიის დელეგაციაში შედიოდნენ: წითელ ზღვასთან ახლოს, აღმოსავლეთ უდაბნოში მდებარე ღირსი პავლე თებაიდელის მონასტრის მკვიდრი, მღვდელმონაზონი არსენი ანბა-პავლა; კოპტური საპატრიარქოს თანამშრომლები: მღვდელი ბიშოი ზაკი სიდრაკი, მღვდელი ალკომოს ბოლესი და მღვდელი სერაფიმე აბდალა; კოპტური ეკლესიის იერუსალიმის სამთავარეპისკოპოსოს კლირიკოსები: მღვდელმონაზონი ბიშოი ელ-ანტონი, მღვდელმონაზონი არსენი ალ-ორშალემი, მღვდელმონაზონი გაბრიელ ალ-ორშალემი, მღვდელმონაზონი ანტონი ალ-ორშალემი, მღვდელმონაზონი პახომი ალ-ორშალემი და დიაკონი უილიამ ფუადი; ამ სამთავარეპისკოპოსოს თანამშრომლები: ბერი აბანუბ ალ-ორშალემი, ბერი თეოფილე ალ-ორშალემი და ბერი სამუელ ალ-ორშალემი.

ვიზიტის დროს იერუსალიმისა და ახლო აღმოსავლეთის მიტროპოლიტ ანტონის და დელეგაციის წევრებს მასპინძლობას უწევდნენ: მონასტრებისა და მონაზვნობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, მუცლადღების სტავროპიგიალური დედათა მონასტრის იღუმენია იულიანა

(კალედა); მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების მდივანი, მღვდელმონაზონი სტეფანე (იგუმნოვი); მონასტრებისა და მონაზვნობის სინოდალური განყოფილების კოლეგიის წევრი, არქიმანდრიტი ბართლომე (პეტროვი); სრეტენის სტავროპიგიალური მამათა მონასტრის მკვიდრნი: მღვდელმონაზონი აგათანგელი (დავლატოვი) და მღვდელმონაზონი ვასილი (ნემეცი); კოპტური ეკლესიის წარმომადგენელი რუსეთში, მღვდელმონაზონი დაუდ ელ-ანტონი; კოპტური ეკლესიის პატრიარქის მრჩეველი, დოქტორი ანტონ მილადი; სსკგ-ის თანამშრომელი ს.გ. ალფეროვი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94453/